ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

5257737

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პირდაპირი მიყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მიწის განკარგვის სამსახურის უფროსს
ქალბატონ ნინო სხირტლაძეს
მის.: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ა

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2023 წლის 01 მარტის №6/11908 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ ხონში, სოფელ ივანდიდში მდებარე 41347 კვ.მ. და 6194 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (ს/კ 37.08.38.392, 37.08.02.892) პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ მიწის ნაკვეთს ს/კ 37.08.02.892 ესაზღვრება სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს კუთვნილი 110/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ხონი-2". შესაბამისად, ნაკვეთი ხვდება ქვესადგურის დაცვის ზონაში. ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, ქვესადგურისთვის გათვალისწინებულია ყრუ კედლებიდან და შემოღობვებიდან პერიმეტრის გასწვრივ - 2 მეტრიანი, ღიობიანი კედლის შემთხვევაში პერიმეტრის გასწვრივ - 4 მეტრიანი დაცვითი ზონა. აღნიშნული დადგენილებით იკრძალება ნებისმიერი ქმედება (მათ შორის შენობა-ნაგებობების მშენებლობა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა და ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) და შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/მოსარგებლე, განურჩევლად ფორმისა, ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ნორმატიული შეზღუდვების დაცვა, რაც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრობლემურია კერძო მესაკუთრეების/მოსარგებლეების შემთხვევაში.

შესაბამისად, ელექტროგადამცემი ქსელის უსაფრთხო და გამართული ექსპლოატაციის მიზნებიდან გამომდინარე, კომპანიისთვის კატეგორიულად მიუღებელია ქვესადგურის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის განკარგვა. გთხოვთ, გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული გარემოებები და წერილში მითითებული უძრავი ქონების განკარგვა განხორციელდეს ქვესადგურის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის გარეშე და მისასვლელი გზის სავალდებულო უზრუნველყოფით. ამასთან ერთად აუცილებელია, მისასვლელი გზის დეტალური პირობები შეთანხმებულ იქნეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან".

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი

David Kharshiladze
Digitally signed by David Kharshiladze
Date: 2023.03.14 10:20:21 +04'00'

შემსრ: თორნიკე ხარაიშვილი/ტელ: 577 35 05 72